



განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა
საკონტაქტო ინფორმაცია: (+995 32) 2 72 22 22;
განცხადების N: 01-01242553750 განცხადების თარიღი: 11.09.2024
ხელმოწერი: კახა კალაძე თანამდებობა: მერი

განცხადება/რომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
თავისუფალი განცხადება

მოთხოვნის ტექსტი

14-39 ცვლილება

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი



წერილის ნომერი: **01-01242553750**
თარიღი: **11/09/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დასამტკიცებლად წარმოგიდგინებ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს, რომელიც მოწონებულია „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 11 სექტემბრის N24.1547.1730 განკარგულებით.

გთხოვთ, საკითხი განიხილოთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე.

დანართი: 9 (ცხრა) ფურცელი.

- „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 11 სექტემბრის N24.1547.1730 განკარგულება; -1 ფურცელი.
- „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი; - 4 ფურცელი.
- „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათი; - 4 ფურცელი.

კახა კალაძე

გამოყენებულია კვალიფიციური





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



განკარგულება - N 24.1547.1730
11 / სექტემბერი / 2024 წ.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 75-ე მუხლის „ე.ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროექტი წარედგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძეს.

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

კახა კალაძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

2024 წლის ----

ქ. თბილისი

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში (სსმ ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 27/05/2016, სარეგისტრაციო კოდი: 010260030.35.101.016295) და დადგენილების:

ა) მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

„ვ) სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1) — სპეციალური ქვეზონა, რომელიც მოიცავს არსებულ/დაგეგმილ საგანმანათლებლო, სამედიცინო, სპორტული, სამეცნიერო დანიშნულების, ასევე, საქალაქო ინფრასტრუქტურის მომსახურებისა და სასაწყობო გამოყენების ტერიტორიებს;”

ბ) მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ვ) სპეცზ-1 – დასაშვებია სასწავლო, სამედიცინო კომპლექსები, სპორტული კომპლექსები, სამეცნიერო-კვლევითი, სამეცნიერო-საწარმოო და კულტურის დაწესებულებების, აგრეთვე საქალაქო ინფრასტრუქტურის მომსახურებისა და სასაწყობო ობიექტების განთავსება.

| განაშენიანების რეგულირების პარამეტრები | | |
|----------------------------------------|-----|-------------|
| კ-1 | – | კოეფიციენტი |
| კ-2 | – | კოეფიციენტი |
| კ-3 | 0,2 | კოეფიციენტი |
| საცხოვრებელი სიმჭიდროვე | – | ერთეული/ჰა |

| | | | |
|--------------------------------------|--------------------|---|-------|
| მიწის ნაკვეთის ფართობი და ზომები | მინიმალური ფართობი | – | კვ.მ |
| | მინიმალური სიგანე | – | მეტრი |
| | მინიმალური სიღრმე | – | მეტრი |
| შენობა-ნეგებობის მაქსიმალური სიმაღლე | | – | მეტრი |
| შენიშვნა | | | |

გ) 31-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ¹” ქვეპუნქტი:

„ზ¹) ამ პუნქტის „ზ” ქვეპუნქტით განსაზღვრული L-ის მაქსიმალური საანგარიშო მნიშვნელობები შესაძლებელია განსხვავებულად დადგინდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში, საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) განვითარებისას.”

დ) 39-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. თითოეული ფუნქციის ობიექტისათვის ან მისი ნაწილისათვის, საზოგადოებრივი გზის მიღმა, ავტოსადგომების ადგილების რაოდენობა არ უნდა იყოს ამავე პუნქტში მოცემულ ცხრილში განსაზღვრულ რაოდენობაზე ნაკლები.

| ავტოსადგომები ზონები | ავტოსადგომების ადგილების აუცილებელი რაოდენობა | | | |
|--------------------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------------------------|
| | ცენტრალური ზონა | გვეგმარებითი კარკასი | შუალედური ზონა | პერიფერიული ზონა |
| ფუნქცია | | | | |
| საზოგადოებრივი თავშეყრის | – | – | – | – |
| საცხოვრებელი | ერთი – კ-2 საანგარიშო ფართობის ყოველ 150 მ ² -ზე | ერთი – კ-2 საანგარიშო ფართობის ყოველ 150 მ ² -ზე | ერთი – კ-2 საანგარიშო ფართობის ყოველ 150 მ ² -ზე | ერთი – კ-2 საანგარიშო ფართობის ყოველ 180 მ ² -ზე |
| საოფისე | – | – | – | – |
| საცალო ვაჭრობის ცენტრი | – | – | – | – |
| სასტუმრო | – | – | – | – |
| კაფე / რესტორანი | – | – | – | – |
| სამედიცინო | – | – | – | – |
| სასაფლაო | ერთი – მიწის ფართობის ყოველ 1000 მ ² -ზე, მაგრამ არანაკლებ 20 ადგილისა | ერთი – მიწის ფართობის ყოველ 1000 მ ² -ზე, მაგრამ არანაკლებ 20 ადგილისა | ერთი – მიწის ფართობის ყოველ 1000 მ ² -ზე, მაგრამ არანაკლებ 20 ადგილისა | ერთი – მიწის ფართობის ყოველ 1000 მ ² -ზე, მაგრამ არანაკლებ 20 ადგილისა |
| შენიშვნა: | <p>1. ამ მუხლის მიზნებისთვის კ-2 ფართობის ანგარიშის წესი გამოიყენება იმ ფუნქციურ ზონებშიც, სადაც კ-2 არ განისაზღვრება.</p> <p>2. თუ მიწის ნაკვეთი მდებარეობს ერთზე მეტი ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირების არეალში, ავტოსადგომების ადგილების აუცილებელი რაოდენობის განსაზღვრა განხორციელდეს იმ ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონის შესაბამისად, რომელიც შეადგენს მიწის ნაკვეთის ფართობის არანაკლებ ¾-ს.”</p> | | | |

ე) 39³-ე მუხლის:

ე.ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების ხელშეწყობის მიზნით, ამ თავით დადგენილი მაკომპენსირებელი ღონისძიების გათვალისწინებით, გამოიყენოს ხელშემწყობი ღონისძიებები. ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისას, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს საჯარო და კერძო ინტერესების შეთანხმება.“

ე.ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვრება კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის გადახდა.“;

ე.გ) მე-8 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

ე.დ) 39⁴-ე მუხლი ამოღებულ იქნეს;

ვ) 39⁵-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დაინტერესებულმა პირმა, მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას თან უნდა დაურთოს:

ა) ინფორმაცია იმ მიწის ნაკვეთის შესახებ, სადაც ითხოვს ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელებას;

ბ) ინფორმაცია მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულების შესახებ, რომელიც განისაზღვრება სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე. ამასთან, მიწის ნაკვეთი უნდა იყოს შეფასებული ვაკანტურ მდგომარეობაში, მასზე დადგენილი (მათ შორის, სპეციალური ზონალური შეთანხმებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტის (კ-1), მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) და მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტის (კ-3) გათვალისწინებით;

გ) ინფორმაცია, თუ რა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებას ითხოვს დაინტერესებული პირი.“

ვ) „დანართი 1“ -ის მე-8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საგამონაკლისო დასაშვები სახეობები, რომლებიც საჭიროებენ სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას:

- ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი;
- სასტუმრო;
- ატრაქციონი;
- სამაყურებლო ობიექტი (ესტრადა, ამფითეატრი, საგამოფენო დარბაზი, ღია და გადახურული კინოთეატრი);
- სპორტული შენობა-ნაგებობა (სტადიონი, სათამაშო მოედანი, სპორტდარბაზი, ღია და დახურული საცურაო აუზები);
- სათამაშო ავტომატების დარბაზი, საბილიარდო, კაზინო და ა.შ.;
- ზოოპარკი;
- კაფე, რესტორანი;
- სასკოლო და სკოლამდელი ასაკის საბავშვო სპეციალიზებული (სახელოვნებო, შშმ და სპორტული) დაწესებულებები;
- ზონისა და მასში დაშვებული შენობა-ნაგებობის ფუნქციონერებისთვის განკუთვნილი ადმინისტრაციული შენობა, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, სახელოსნოები, გარაჟები და საწყობები);
- საკულტო შენობები და ნაგებობები;
- ღია ავტოსადგომი.“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განმარტებითი ბარათი

ა.ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი:

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ხორციელდება შემდეგი ცვლილებები:

- 1) განაშენიანების რეგულირების წესების მე-15 და მე-16 მუხლებში, კერძოდ, სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1) რეგლამენტში. სპეციალური ზონა 1-ში (სპეცზ-1) დასაშვებ სახეობად ემატება სპორტული კომპლექსი.
- 2) ასევე, ცვლილება ეხება 31-ე მუხლის მე-5 პუნქტს, L-ის მაქსიმალური საანგარიშო მნიშვნელობა სზ-1 და სზ-2 ტოლია 6 მეტრის, ხოლო ყველა სხვა საცხოვრებელ ზონაში – 20 მეტრის. აღნიშნული ცვლილებით განსხვავებული მნიშვნელობები შესაძლებელია დადგინდეს საცხოვრებელ ზონა 6-ში (სზ-6).
- 3) კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მოქმედი რედაქციით, ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენება შესაძლებელია მაკომპენსირებელი ღონისძიებების გათვალისწინებით, კერძოდ, ა) კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციაში/ჩანაცვლებაში მონაწილეობით ან ბ) კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის გადახდით.
წარმოდგენილი პროექტით ცვლილება ხორციელდება 39³-ე მუხლის 1-ელ და მე-3 პუნქტებში; 39⁴ მუხლსა და 39⁵-ე მუხლის 1-ელ პუნქტში; რის შედეგადაც, მაკომპენსირებელ ღონისძიებად გათვალისწინებული შეიძლება იყოს მხოლოდ ფასის გადახდა.

- 4) ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დანართი 1-ის მიხედვით, სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2)-ში ერთ-ერთი საგამონაკლისო დასაშვები სახეობა, რომელიც საჭიროებს სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას, არის ავტოსადგომი.
- 5) წარმოდგენილი პროექტით ცვლილება ხორციელდება ავტოსადგომების ადგილების რაოდენობის განმსაზღვრელ რეგლამენტშიც. განაშენიანების რეგულირების წესების 39-ე მუხლის მე-2 პუნქტში ემატება შენიშვნა N2, რაც გულისხმობს შემდეგს: „თუ მიწის ნაკვეთი მდებარეობს ერთზე მეტი ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირების არეალში, ავტოსადგომების ადგილების აუცილებელი რაოდენობის განსაზღვრა განხორციელდეს იმ ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონის შესაბამისად, რომელიც შეადგენს მიწის ნაკვეთის ფართობის არანაკლებ ¾-ს.”

ა.ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზანი:

წარმოდგენილი ცვლილებების მიზანია, პრაქტიკაში არსებული შემთხვევებიდან გამომდინარე, არსებული რეგულაციების სრულყოფა.

ა.გ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) ძირითადი არსი:

1. წარმოდგენილი ცვლილება ხორციელდება განაშენიანების რეგულირების წესების მე-15 და მე-16 მუხლებში, კერძოდ, სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1) რეგლამენტში. **სპეციალური ზონა 1-ში (სპეცზ-1) დასაშვებ სახეობად ემატება სპორტული კომპლექსი.**

მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

“ვ) სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1) — სპეციალური ქვეზონა, რომელიც მოიცავს არსებულ/დაგეგმილ საგანმანათლებლო, სამედიცინო, **სპორტული**, სამეცნიერო დანიშნულების, ასევე, საქალაქო ინფრასტრუქტურის მომსახურებისა და სასაწყობო გამოყენების ტერიტორიებს;”

მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ვ) სპეცზ-1 – დასაშვებია სასწავლო, სამედიცინო კომპლექსები, **სპორტული კომპლექსები**, სამეცნიერო-კვლევითი, სამეცნიერო-საწარმოო და კულტურის დაწესებულებების, აგრეთვე საქალაქო ინფრასტრუქტურის მომსახურებისა და სასაწყობო ობიექტების განთავსება.

2. ასევე, ცვლილება ეხება 31-ე მუხლის მე-5 პუნქტს, L-ის მაქსიმალური საანგარიშო მნიშვნელობა სზ-1 და სზ-2 ტოლია 6 მეტრის, ხოლო ყველა სხვა საცხოვრებელ ზონაში – 20 მეტრის. აღნიშნული ცვლილებით განსხვავებული მნიშვნელობები შესაძლებელია დადგინდეს საცხოვრებელ ზონა 6-ში (სზ-6).

„ზ¹) ამ პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული L-ის მაქსიმალური საანგარიშო მნიშვნელობები შესაძლებელია განსხვავებულად დადგინდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში, საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) განვითარებისას.“

3. ასევე, ცვლილება ხორციელდება 39³-ე მუხლის 1-ელ და მე-3 პუნქტებში; 39⁵-ე მუხლის 1-ელ პუნქტში;

კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მოქმედი რედაქციით, ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენება შესაძლებელია მაკომპენსირებელი ღონისძიებების გათვალისწინებით, კერძოდ,

ა) კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციაში/ჩანაცვლებაში **მონაწილეობით** ან

ბ) კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით **შესაბამისი ფასის გადახდით.**

წარმოდგენილი პროექტით, ცვლილება ხორციელდება განაშენიანების რეგულირების წესებში და აღნიშნულ შემთხვევაში, მაკომპენსირებელ ღონისძიებად გათვალისწინებული შეიძლება იყოს მხოლოდ ფასის გადახდა.

შესაბამისად, ცვლილება ეხება განაშენიანების რეგულირების წესების 39³-ე მუხლის 1-ელ და მე-3 პუნქტებს; ასევე, 39⁵-ე მუხლის 1-ელ პუნქტს.

ხოლო, განაშენიანების რეგულირების წესების 39³-ე მუხლის მე-8 პუნქტი და 39⁴-ე მუხლი ამოღებულ უნდა იქნას.

4. ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დანართი 1-ის მიხედვით, სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2)-ში ერთ-ერთი საგამონაკლისო დასაშვები სახეობა, რომელიც საჭიროებს სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას, არის ავტოსადგომი.

წარმოდგენილი პროექტით, ასევე, ცვლილება ხორციელდება ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დანართ 1-ში და აღნიშნულ ფუნქციურ ზონაში ერთ-ერთი საგამონაკლისო დასაშვები სახეობა - ავტოსადგომი, რომელიც საჭიროებს სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას, ზუსტდება ღია ავტოსადგომით.

შესაბამისად, ცვლილება ეხება განაშენიანების რეგულირების წესების დანართი 1-ის მე-8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტს.

5.წარმოდგენილი პროექტით ცვლილება ხორციელდება ავტოსადგომების ადგილების რაოდენობის განმსაზღვრელ რეგლამენტშიც. განაშენიანების რეგულირების წესების 39-ე მუხლის მე-2 პუნქტში ემატება შენიშვნა N2, რაც გულისხმობს შემდეგს:

„თუ მიწის ნაკვეთი მდებარეობს ერთზე მეტი ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირების არეალში, ავტოსადგომების ადგილების აუცილებელი რაოდენობის განსაზღვრა განხორციელდეს იმ ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონის შესაბამისად, რომელიც შეადგენს მიწის ნაკვეთის ფართობის არანაკლებ $\frac{3}{4}$ -ს.“

ბ) პროექტის ფინანსურ-ეკონომიკური დასაბუთება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან.

გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

დ) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

პროექტის ინიციატორის მოსაზრებით, პროექტი არ ახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

ე) პროექტის ავტორი:

პროექტის ავტორია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ვ) პროექტის წარმდგენი:

პროექტის წარმდგენია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.